პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 ნოემბერი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 277 (15490)

ᲩᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲚᲢᲖᲔ

ᲖᲐᲚᲘᲡ რაიონის მზიურის მეცხრეტუსეობის ხაბეჭოთა მეურნეობაში მანდარინის მასობრივი კრეფა მიმდინარეობს. ტერასებზე, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გაუფალი ბარდნარი იყო, ამჟამად 520 ჰექტარზე გაშენებულია მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის პლანტაციები.

წელს საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა 600 ტონაზე მეტ მანდარინს მოკრეფენ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: კომკავშირელი ჯულიეტა უბილავა უოველდღიურად 500-600 კილოგრამ მანდარინს კრეფს.

ი. ᲞᲝᲡᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲣᲡᲢ-ᲙᲐᲛᲔᲜᲝ�გᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲢᲧᲕᲘᲐ-ᲗᲣᲗᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲮᲐᲨᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲯᲐᲠᲘ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობენ უსტ-კამენოგორსკის ტყვია-თუთიისა და ბალხაშის სამთო-მეტალურგიული კომბინატების პარტიული ორგანიზაციები მადნის ნედლეულის კომპლექსური გამოყენების მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად კოლექტივების დარაზმვისათვის. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რათა დარაზმონ კოლექტივები მადნის ნედლეულის უფრო სრული და კომპლექსური გამოყენებისათვის, რადგან ეს ფერადი ლითონების წარმოების გადიდებისა და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირების, რესურსების გაფართოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ისინი მტკიცედ ახორციელებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათი შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების პრაქტიკულ ღონისძიებებს, დღენიადაგ უთმობენ ყურადღებას მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ტექნიკური სწავლისა და ეკონომიური განათლების საკითხებს. პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ისინი კოლექტივებში ფართოდ ანაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ნედლეულისა და მასალების რაციონალური გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით განაღდებისათვის.

კომბინატებში ხმელეთინერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების მუშაკებთან თანამეგობრობით შემუშავებულია მადნის ნედლეულის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის პერსპექტიული გეგმები. პარტიული ორგანიზაციები იღებენ ხელიერო საკითხებისადმი კონკრეტულ უფლებას და ღრმად და მიზანსწრაფულად სწავლობენ საწარმოთა საქმეებს, ამაღლებენ კადრების პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი, წარმატებით წყვეტენ კოლექტივების წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამის შედეგად უსტ-კამენოგორსკისა და ბალხაშის კომბინატებში არსებითად ამაღლდა მადნებიდან და კონცენტრატებიდან ლითონებისა და თანამგზავრი კომპონენტების ამოღების დონე. ამჟამად ამ მაჩვენებელთა მიხედვით მათ წამყვანი ადგილი უჭირავთ დარგში. სპილენძთან, თუთიასთან და ტყვიასთან ერთად ნედლეულის იცლიან სხვა სასარგებლო მადნეულსაც, რომელთა რეალიზაცია სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობის თითქმის მეოთხედს შეადგენს და ბალხაშის კომბინატს აძლევს მთელი მოგების თითქმის ერთ მესამედს, უსტ-კამენოგორსკის კომბინატს კი ნახევარზე მეტს. მარტო იმ ღონისძიებათა შედეგად, რომ უსტ-კამენოგორსკისა და ბალხაშის მეტალურგებს უფრო სრულად გამოიყენებინათ მადნის ნედლეული, მიმდინარე ხუთწლედის წელიწადნახევარში დამატებით არის წარმოებული 100 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების თანამგზავრი პროდუქცია. ნედლეულის კომპლექსური გადამუშავება და წარმოების ნარჩენების უტილიზაცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აგრეთვე სამრეწველო ნარჩენებით ვარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას, რასაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს.

კომბინატების კოლექტივები, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა ნედლეულის რაციონალური გამოყენებისათვის, წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, წარმატებით ასრულებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს და მაღალ ეკონომიურ მაჩვენებლებს აღწევენ. შრომის ნაყოფიერება უსტ-კამენოგორსკის კომბინატში 1,5-ჯერ აღემატება მეტალურგიული ქარხნების საშუალო დარგობრივს, ბალხაშის კომბინატში კი — თითქმის 2-ჯერ მაღლის გამდიდრებაში. ხუთწლედის დამდეგიდან ამ საწარმოებმა უზრუნველყვეს მაღალრენტაბელური მუშაობა.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უსტ-კამენოგორსკისა და ბალხაშის კომბინატებში ჯერ კიდევ ვერ იყენებენ სრულად ცალკეული ლითონების დანაკარგების შემდგომი შემცირების, წარმავალი გაზებიდან გოგირდის უტილიზაციის, ძვირფასი კომპონენტების შემცველი წიდების გადამუშავების, დაკანგული მადნებიდან სპილენძის მიღების, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის არსებული შესაძლებლობებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა უსტ-კამენოგორსკის ტყვია-თუთიისა და ბალხაშის სამთო-მეტალურგიული კომბინატების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს კოლექტივების მობილიზაციას მადნის ნედლეულის კომპლექსური გამოყენებისა და ამის საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის გადიდების მაღალი მაჩვენებლებამდე მიღწევისათვის.

კომბინატების პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს დანადგარები მიეცათ კვლავაც განახორციელონ მუშაობა მადნის ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ საქმეში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების ყოველი ღონისძიებით გამოყენებას. დაბეჯითებით გადაჭრან კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხები, გამუდმებით გაუმჯობესონ მშრომელთა შრომის, ყოფაცხოვრების პირობები და კულტურული დასვენების ორგანიზაცია, აამაღლონ მათი ზოგადსაგანმანათლებლო დონე და სპეციალური ცოდნა, განავითარონ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი აქტივობა, ფართოდ ჩაბნან ისინი წარმოების მართვაში. სოციალურ ღონისძიებათა განხორციელება მჭიდროდ დაუკავშირონ შრომის ნაყოფიერების ზრდას, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, კოლექტივის წინაშე მდგომი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას.

უანგარეთის კომპარტიის აღმოსავლეთ უანგარეთისა და ყარაღანდის საოლქო კომიტეტებს წინადადება მიეცით სისტემატურად გაუწყონ დახმარება უსტ-კამენოგორსკისა და ბალხაშის კომბინატების პარტიულ ორგანიზაციებს, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრული დავალებების წარმატებით შესრულებაში კოლექტივების საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში მისი ეფექტიანი გავლენის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში.

დადგენილებაში აღვნიშნავთ, რომ ფერადი მეტალურგიის ბევრ საწარმოში საკმაოდ სრულად არ წარმოება მუშაობა ლითონების, გოგირდისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის დანაკარგების შემცირებისათვის, სუსტად იყენებენ მადნის გამდიდრებისა და კონცენტრატების გადამუშავების საქმეში მოპოვებულ მაღალ მაჩვენებლებს. სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიას წინადადება მიეცა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი მადნის ნედლეულის გამოყენებაში, გაძლიერის ბრძოლა ხელოვნური ნაკლოვანებებისადმი, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისადმი ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში.

სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაევალათ განაზოგადონ უსტ-კამენოგორსკისა და ბალხაშის კომბინატების კოლექტივების მუშაობის გამოცდილება და ფართოდ გამოიყენონ იგი დარგის სხვა საწარმოებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დააკავა დარგობრივ სამინისტროებს გააუმჯობესონ ნედლეულის რესურსების გამოყენება საკვლევნო საწარმოებში, აამაღლონ მეცნიერული კვლევის, საკონსტრუქტორო და საპროექტო მუშაობის დონე, დაარქაროონ წარმოებაში სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ ნედლეულის, ნახევარპროდუქტების უფრო სრულად გადამუშავებასა და წარმოების ნარჩენების უტილიზაციას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს რჩება მიეცათ გამუდმებით მიაპყრონ პარტიული ორგანიზაციებს, საწარმოთა კოლექტივების ყურადღება ნედლეულის რაციონალურ გამოყენებას, რაც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ფაქრთად გამოიყენონ ამ მუშაობაში უსტ-კამენოგორსკის ტყვია-თუთიისა და ბალხაშის სამთო-მეტალურგიული კომბინატის პარტიულ ორგანიზაციათა გამოცდილება.

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ

23 ნოემბერს მოსკოვში, შრომის სასახლეში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის პროფესიული გაერთიანების ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმმა.

მის სხდომებზე გაიმართა კამათი მოხსენების გამო „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პროფესიულ ორგანიზაციათა აღმოჩრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პროფკავშირულ ორგანიზაციათა აღმრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. პროფკავშირთა აღმრდელობითი მუშაობის მთავარი მიმართულება, ნათქვამია დადგენილებაში, უნდა იყოს მშრომელებისათვის შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის საქმეს სკკპ XXIV ყრილობის მითითებათა გულმოდგინე განხორციელება, მათი შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარება კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებისათვის. საკავშირო მუშათა კოლექტივების, წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორების, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკების მაგალითზე პროფკავშირებმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაუწიონ პრომაგანდა მუშათა კლასის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

მშრომელთა პოლიტიკური შეგნების ზრდა ყველაზე მკაფიოდ გლინდება სოციალისტური შეჯიბრების საყოველთაო-სახალხო გაქანებით. აღნიშნა რა ეს, პლენუმმა პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს დაავალა განაზოგადონ ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიური ზრდის ეფექტიანობის ამაღლებისადმი ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს, ხელი შეუწყონ ეფექტიანი ინიციატივების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ეკონომიური ანგარიშგებისა, ეკონომიური ბერეკეტების, ეკონომიური სტიმულების, ეკონომიური ანალიზის, ეკონომიური ინფორმაციის, ეკონომიური ბალანს

გაუმჯობესებული წარმატებანი, აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ. ხაზგასმა ეხებოდა ხიშემოდგომო სამუშაოთა ორგანიზებულად დამთავრებას კოლმეურნეობებსა და სახმეურნეოებში, ყოველმხრივ მომზადებას ახალი სასოფლო-სამეურნეო წლისათვის. პრეზიდიუმის სანიმუშოდ გამოზამთრებას, იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ზუთწლედის შესამე წლის უხვი მოსავალი. კრების მონაწილეთა ძირითადი ყურადღება დაეთმო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებულ ნაკლოვანებათა გადაჭრით დაძლევას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის მიერ შემუშავებული და პარტიის XXIV ყრილობის მიერ მოწონებული სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსური პროგრამის განხორციელებას.

მოხსენება მინდვრის საშემოდგომო სამუშაოთა წარმატებით დასამთავრებლად და ახალი სასოფლო-სამეურნეო წლისათვის მოსამზადებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ი. ბანუშვილმ.

სოფლის* მეურნეობა, თქვა ამხ. ჭანუყვაძემ, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, შუდამ ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრშია. ეს გასაგებიც არის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებით განვითარებაზე ბევრად დამოკიდებულია ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი წინსვლა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. სწორედ ამიტომ სკკპ XXIV ყრილობამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების კომპლექსური პროგრამა რომ შეიმუშაოს, საყოველთაო-სახალხო საქმედ გამოაცხადა ბრძოლა სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების კომპლექსური პროგრამა ის მასალაა, სადაც სამნიდან ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ და ამიტომ ძალიან ბევრი მოსავალი იღებენ. წყალტუბოს, თერჯოლისა და მაიაკოვსკის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამნიდის მოსავლიანობა 7-11 ცენტნერს არ აღემატება. ბჰოლოდ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკის რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს. ბეგოსტეკა მზედელობიდან გამორჩენთ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკის რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს. აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს განვიღ ხუთწლედი ერთხელაც არ შეუსრულებიათ ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების გეგმა. მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს კი ამ 31 პროცენტით შესრულდა ბოსტნეულის დამზადების გეგმა. წლევანდელი წელი თითქმის აწურება, წლიური გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 32 პროცენტით. ყოველივე ეს აძნელებს აფხაზეთის ტერორტორიის მომარაგებას ბოსტნეულით, რაც დამსვენებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამას ვეღარ შევეგუებიდით.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არ მოუყავს დადგენილი ასორტიმენტის ბოსტნეული. ეს შეეხება, უწინარეს ყოვლისა, ბარდაბნის, მარნეულისა და სხვა რაიონების მეურნეობებს.

გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.863 ტონა მწვანილისა 1971 წელს დაამზადეს მხოლოდ 229 ტონა. ამავე დროს მაინ მიჰყიდეს სახელმწიფოს: 10.537 ტონა კომბოსტო ნაცვლად დაგეგმილი 5.799 ტონისა, სუფრის ჭარხალი — 3.331 ტონა ნაცვლად 920 ტონისა, ბოლოკი — 3.500 ტონა ნაცვლად 1.000 ტონისა და ა. შ. 1971 წელს მარნეულის რაიონში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 980 ტონა კატრსა დაამზადეს 178 ტონა, ნაცვლად 1.500 ტონა ხაჭვისა — 662 ტონა, ხოლო სტაფილო საერთოდ არ დაუმზადებიათ, თუმცა გეგმით გათვალისწინებული იყო 130 ტონის დამზადება. ამავე დროს რაიონში სახელმწიფოს მიჰყიდა 4.116 ტონა კომბოსტო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.020 ტონისა, სუფრის ჭარხალი — 1.326 ტონა ნაცვლად 350 ტონისა.

მიგვაჩნია, რომ ამიერიდან მებოსტნეობის რაიონებსა და მებოსტნეობა-მოყვანეობის საბჭოთა მეურნეობებს ტრესტს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ უნდა ნაკუთვნალი ადგილის შესრულება, თუ ვერ უზრუნველყოფენ დავალებათა რეალიზაციის პროდუქციის ასორტიმენტის მიხედვით.

ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევს ბოსტნეული მოვიყვანოთ თითქმის ყველა მეურნეობაში. მიუხედავად ამისა, მეურნეობათა მესამედზე მეტი, ანუ 500-ზე მეტი კოლმეურნეობა და 70-მდე საბჭოთა მეურნეობა, საერთოდ არ მისდევს მებოსტნეობას. საჭიროა სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა 1973 და მომდევნო წლებისათვის ყველა კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას დაუწესონ ბოსტნეულის წარმოების დავალებანი. გადაჭრით უნდა აღმოფხვრათ სეზონურობა ნაკლოვანებანი მეთესლეობაში და ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფთ ბოსტნეული კულტურების მაღალხარისხოვანი თესლით.

„საქკონსერვგბილბოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტმა მკვეთრად უნდა გაუმჯობესოს ხელის, ბოსტნეულის, კარტოფილის მიღება, შენახვა, გადამუშავება და რეალიზაცია.

ამიტომ ის არის, რომ 1973 წელს რესპუბლიკის მებოსტნეებმა საბელმწიფოს მიჰყიდონ 195 ათასი ტონა ბოსტნეული, ხუთწლედის დამლევისათვის კი 300 ათასამდე ტონა ვეგმით გათვალისწინებული 250 ათასი ტონის ნაცვლად.

წლევანდელი ამინდის პირობებში ცუდი იყო მეკარტოფილეებისათვის. მიგრამ იქ, სადაც ამ კულტურას მოელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და უხვი მოსავლისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები, კარგ შედეგებს მიაღწიეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალქალაქის რაიონში გაწეული დიდი მუშაობა (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. პეტროსიანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კაზარიანი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ალელიშვილი). ამ რაიონის მშრომელებმა სანიმუშოდ მოუყარეს კარტოფილის ნათესებს, შემჩიდროებულ ადგილში ალეს მოსავალი. კარგად იშრომეს აგრეთვე ბოლნისის, ახალციხის, თეთრი წყაროს, ასპინძის, ბოგდანოვკის, ალიგენის, მესტიისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მშრომელებმა.

მაგრამ ყველგან როდი იშრომეს ასე. წალენჯიხის რაიონსა (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. დელაგერი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მელტუხინი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. მაღალაშვილი) და დმანისის რაიონსა (პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. მანთაშაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ისმაილოვი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ქრისტესაშვილი) ჩაშალეს კარტოფილის წარმოებისა და დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება. ამ რაიონების ხელმძღვანელები ყოველნაირად ცდილობენ, ცუდი ამინდით ახსნან სახელმწიფო გეგმების ჩაშლა, ეს ფაქტი. მაგრამ მიზეზი, რა თქმა უნდა, მარტო ეს როდია. ამავე რაიონებში არის მეურნეობანი, რომლებიც წარმატებით შეებრძოლნენ სტიქიას და კარტოფილის კარგი მოსავალი მოიყვანეს.

მარტო წალკის რაიონის ექვსმა საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფო გეგმის შესრულებას დააკლო 2.500 ტონა კარტოფილი.

დღეისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია 62.380 ტონა კარტოფილი. ზამთრისათვის საცავებში შენახულია 14.000 ტონაზე მეტი, რაც უზრუნველყოფს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მოთხოვნილებას. რაც შეეხება 1973 და მომდევნო წლებს, ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად გავაღიდოთ კარტოფილის წარმოება და ზეადგილი დამზადება ავიყვანოთ 80-100 ათის ტონამდე. მაშინ მთლიანად დაკმაყოფილებული რესპუბლიკის მშრომელთა მოთხოვნილება.

ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გადიდება ასევე დონემდე, უეჭველი, მოითხოვს მეტ ყურადღებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მხრივ. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინოს სამინისტროებს შესაბამისი მასალებისა და ტექნიკის გამოყოფაში.

სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებისათვის, პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდება, ამ პროდუქტებით მოსახლეობის შეუფერებელი მომარაგება უმძიმესი და მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გახდეს.

წელს ხილის კარგი მოსავალი მოვიყვანეთ. მისი დამზადების წლიური გეგმა 106 პროცენტით შესრულდა. მაგრამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ ისევ დაბალია ბაღების სიმეჩალი მოსავლიანობა. ამის შედეგად დაბალია საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა რეალიზაციაში დამზადებული ხილის საერთო მოცულობაში. მეხილეობაში კვლავ საბრძოლო ამოცანად რჩება. ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაცია, მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება. და ხილის ხარისხის გაუმჯობესება. მტკიცედ უნდა დავადგეთ ამ კურსს, რომ 1973 წელს გავაღიდოთ ხილის დამზადება 190 ათას ტონამდე, ხუთწლედის დამლევისათვის კი 275 ათას ტონამდე.

წლევანდელი ვინეგრეში მნიშვნელოვნად დაბალია ციტრუსება. მაგრამ განსორციელდა ღონისძიებანი ბაზის ციტრუსების დამზადების გეგმის შესასრულებლად.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო მეევხეთეობის მდგომარეობას. როგორც ცნობილია, უანგამ განსაკუთრებით დაუზიანა კახეთისა და ქართლის ზვრები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1972 წლის 24 ოქტომბრის განიხილა 1971-1972 წლის ზამთრის ხანგრძლივი უინვეების შედეგად დაზიანებული და დაღუპული ვენახების აღდგენის ღონისძიებათა საკითხი.

სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების საქონისტროები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ბოლო ორი ზამთრის ხანგრძლივი უინვეებისგან მიყენებული ზარალის გაშენების გეგმების შესრულება, აღმოფხვრან ვენახების სიმეჩხერე. სარეგეგ მეურნეობათა ტრესტმა (მმართველი ამხ. ასათიანი) უნდა უზრუნველყოს სტანდარტული სანერგე მასალით ორი მარტო ახალი ვენახების გაშენება, არამედ გამეჩხერებულ ნარგავთა შევსებაც.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაში ჯერ კიდევ დიდია მოსახლეობის წილი. სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად გალიდებული ინიციატივა დასკვნები გამოიტანონ შექმნილი მდგომარეობიდან. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჭირო ყველაფერი ღონეზე მრავალწლოვანი ნარგავების ფართობის შემდგომი გადიდებისათვის, მრავალწლოვან ნარგავთა, განსაკუთრებით ვენახებისა და ხეხილის ბაღების სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის 1973-1975 წლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, აღნიშნა ამხ. ჭანუყვაძემ, თანმიმდევრულად ახორციელებენ ღონისძიებებს მეცხოველეობის საკვების ბაზის განმტკიცების, პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მაგრამ ზოგიერთი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ქმედით ღონისძიებებს ან ახორციელებენ მეცხოველეობაში მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის“.

სურვილი ამით აიხსნება, რომ წალკის, ლაგოდეხის, წალენჯიხის, ზესტაფონის, ტყიბულის, ჩიხორა-ციხეთის, ბაღდათის, ხონის, ზესტაფონის, ბაღდათის, ხონის, ბაღდათის, ხონის, ბაღდათის, ხ

გაანალიზებთ წარმატებანი, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში

(მაგრძელება).

ამ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირუტყვის ჯანმრთელობა შემადგენლობა, განმტკიცდა ბაზები. ამან კი განსაზღვრა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა. მარშან თვითეულ საფურაგე ფრთხეზე მოვიღეთ 2.100 კილოგრამი რძე, ხოლო მიმდინარე წლის ცხრა თვეში უკვე მიღებულია 2.047 კილოგრამი რძე. მაგრამ მიღწეული ზღვარი რადა. ხარისხიანი ნაკლოვანებანი ჯერაც მეცხენეობისა და მეფრინველეობის განვითარებაში. კოლმეურნეობის გამეფრთა და პარტიული ორგანიზაციის სახიფათ ღონისძიებებს, რომელთა შესრულება საუკეთესოდ მოგვეცემს აღმოფხვრილ ნაკლოვანებანი.

ორატორმა აღიარა ხარვეზები, რომ საჭიროა ეკონომიკისადმი მეტი ყურადღება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლეტივთა კავშირურთიერთობა კოლმეურნეობებთან. რაც საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოფ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობა.

კოლმეურნეობაში ხორციელდება ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. მაგრამ ზოგჯერ ეკონიგდებიან ადამიანებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ ბრძოლა-ფიქრებს. ეკონომიკურ-ფინანსურ ანგარიშგებაში ბევრ ადგილას ადგილობრივ ორგანოებს ეკონომიკურ-ფინანსურ ანგარიშგებაში ბევრ ადგილას ადგილობრივ ორგანოებს ეკონომიკურ-ფინანსურ ანგარიშგებაში ბევრ ადგილას ადგილობრივ ორგანოებს

ნიუბეული წესით მოკრეფილი ფოთლის თვითღირებულება.

ორატორმა შემდეგ ილაპარაკა ამაზე, რომ საჭიროა რაიონს დამატებით გამოეყოს ჩაის საკრეფი მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები.

ცუდი ამინდის პირობებით გამოწვეული ხარისხეული მიუხედავად, თქვა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ბუმბულაშვილმა, მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შედარებით კარგ შედეგებს მიაღწიეს. მეეფრთა, ბოსტნეულის, ჯანეგის, კეხვის, უკანასკნელის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურების მოსავალმა შეადგინა ჰექტარზე 20-28 ცენტნერი, ბაქრის ჭარხლის მოსავალმა —400-460 ცენტნერი, მიღებულია აგრეთვე ხიმინდის, ხიზილის უხვი მოსავალი. ბოლო ჟამ ჭალაში ბალი და ჭიბეული. სამწუხაროდ, მეტად დაბალია ადგილებზე მათი შენარჩუნების პროცენტი. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ფერმებში შექმნილი არაა მუშაობისათვის საჭირო ელემენტარული პირობები. დაბალ დონეზეა მექანიზაციაც და ავტომატიზაცია, ადგილებზე ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებზე ილაპარაკა ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა ბ. რუსაძემ. სუსხიანმა ზამთარმა, თქვა მან, ძლიერ დაზიანა ზვრები. მაგრამ სოფლის მშრომელებმა დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს ბაღისა და მოსავლისათვის, დროულად და მაღალ დონეზე განხორციელდა აგროტექნიკური ღონისძიებანი, რამაც საშუალება მისცა ნაკლებულ ბრიგადებს, მათ შორის ჩვენს ბრიგადასაც, მიეღოთ კარგი მოსავალი — ჰექტარზე 65 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი.

კოლმეურნეობამ აწარმოა 1.133 ტონა მარცვლეული — გეგმაზე ერთიორად მეტი. მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღებაში დიდი როლი შეასრულა ყუბანის უსტ-ლაბინსკის რაიონის კოლმეურნეობის გამოცდილების გამოყენებამ, კოლმეურნეობისა, რომელსაც ეკონიგდნენ ჩვენმა ოსტატებმა. თავი გამოიჩინეს ჩვენმა მესიმინდეებმაც. მათ 3.996 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს, ნაკლებად გეგმით ნათვალისწინებული 2.910 ცენტნერისა. ხიმინდის მოსავლიანობამ ჰექტარზე 41 ცენტნერი შეადგინა.

ორატორმა აღნიშნა სოფელში მომხდარი ცვლილებებიც. უკანასკნელ დროს აქ აშენდა კულტურის სასლი, ქორწინების სასლი, გაყვანილია წყალსადენი, რომელმაც სასმელი წყლით უზრუნველყო თვითოეული ოჯახი. ახლა სოფელში შენდება საშუალო სკოლა, 200-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის საფარი.

რეკომენდაციას საბჭოთა მეურნეობები, აღნიშნა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა მ. ფეიზიევიმ, მძიმე მდგომარეობაში არიან. ეს ჩვენი ცუდი მუშაობის შედეგია. უარყოფითად ითქმევდა საქმიანი წლევანდელმა სუსხიანმა ზამთარმა. საჭიროებისათვის ბიუროებიანი 18 პირველადი, 16 საამქრო პარტიული ორგანიზაცია და 60 პარტიული ჯგუფი.

ვითვალისწინებთ რა გასული წლების გაკვეთილს, როგორ არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო რაიონის მეურნეობები ადგილდებენ, რაიონული პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად მოემზადა ამინდის ჭირვეულობის დროებდეგ საბრძოლველად. ამ მუშაობაში მთავარი იყო მუდმივი ზრუნვა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისათვის, კადრებისადმი ნდობისა და მომთხოვნელობის შეხამება, მომზრდებისა და ყაირათიანობის პრინციპის განხორციელება წარმოების ყველა დარგში. ჯერ კიდევ მარშან ფართოდ საბჭოთა სოციალისტური შეჯიბრება ბუთწლედის მეორე წლის დაცალებათა წარმატებით შესრულებისათვის. მიმდინარე სახოფლო-სამეურნეო წლისათვის მარტოოდენ ბოლოს „1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის შეცხოველეობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრის გაშლის შესახებ“. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ორსაფეხურიანი ხელმძღვანელობა ეფუძნებოდა ბოლო ანალიზისადმი მოითხოვს არა მარტო სოფლის მეურნეობის მაჩვენებელთა ზრდის პროცესის შესწავლას, არამედ უწინარეს ყოვლისა ამის დადგენას, თუ რა ფასად არის მიღწეული ეს შედეგები, შეიძლებოდა თუ არა ისინი უფრო დიდი ყოფილიყო სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორს ყველა უპირატესობის უფრო ეფექტიანად გამოყენების პირობებში, ეს პრობლემის ყველაზე არსებითი მხარეა. სწორედ განსახილველი საკითხის ეს მხარე უნდა იყოს ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში, თუ მათ სურთ იყონ ნამდვილი თანამედროვე ხელმძღვანელები და ორგანიზატორები სოფლის მეურნეობის, ყველა მისი დარგის შემდგომ განვითარებისა.

თანამედროვე სოფლის მეურნეობის რაციონალური გაძღოლა გულისხმობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მეცნიერულ ორგანიზაციას, მომგებიანობასა და რენტაბელობას, მაღალ ხარისხს.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო და არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვანი დარგების — მეჩაიეობის, მეკვლეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და სხვა ამ დარგების ყოველნაირად განვითარების საკითხები, რომლებსაც ეხებოდა ბოლო ანალიზი. ასეთი მდგომარეობა ვერ შეეფერება ბოლო ანალიზ. ასეთ მდგომარეობა ვერ შეეფერება

გაანვითარეთ წარმატებანი, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

სოფლის მეურნეობის განვითარებაში

(დასასრული)

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების მაღალი ორგანიზატორული ხელმძღვანელობა უწინარეს ყოვლისა ის უნდა იყოს, რომ თავდადებული ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ეფექტიანობა და ინტენსიფიკაცია, მისი მოშენებიანობა და რენტაბელობა, უწინარეს ყოვლისა იმ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების რენტაბელობა, რომელთა ხელმძღვანელობასა და მართვას თავიანთი თავისებურებანი და სპეციფიკა აქვს.

ჩვენი ორგანიზატორული და საამართველო მუშაობის დონეს უწინარეს ყოვლისა მოწმობენ მეურნეობის გაძღოლის ისეთი ძირითადი ორგანიზაციული ფორმების საქმიანობის მაჩვენებლები, როგორიც არიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი ჩვენი სოფლის კომუნისტების, პირველადი და რაიონული პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული და პოლიტიკური სიმწიფის კრიტერიუმებს წარმოადგენენ.

კოლმეურნეობების მართვის თავისებურებანი თვით კოლმეურნეობათა ბუნებიდან გამომდინარეობენ. კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის დონესა და ეფექტიანობას სამეურნეო მაჩვენებლები ასახავენ. მაგრამ კოლმეურნეობებში ჰექტარზე მოსავლიანობას მაჩვენებლები ჩვენში ზოგიერთ კულტურებში ყველაზე დაბალია კავშირის მასშტაბით.

შრომისა და წარმოების ცუდი ორგანიზაციის, დაბალი დისციპლინისა და უყაირათობის გამო რესპუბლიკის 588 კოლმეურნეობა ნაკლებრენტაბელური ან ზარალიანი მეურნეობაა, აქედან 94 კოლმეურნეობი შოლტანად ზარალიანია.

340 კოლმეურნეობამ ზარალიანობის გამო შაბშან მთლიანად დაკარგა საკუთარი საბრუნავი საშუალებანი და ახლა მათზე ირიცხება აუნაზღაურებელი ზარალი 14,4 მილიონი მანეთის ოდენობით. 270 კოლმეურნეობაში შემოსავალი ვერ ფარავს შრომის ანაზღაურების ხარჯებს.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა ხობის, თეთრი წყაროს, წალკის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობათა ფინანსური საქმიანობის დარგში. კოლმეურნეობებში მთელი რიგი წლების მანძილზე ვერ აუთვისებიათ კაპიტალური დაბანდებანი, ფუშაევენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებსა და ვადებს.

თუ 1965 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ 46 მილიონი მანეთი გრძელვადიანი და მოკლევადიანი კredიტი, 1970 წელს ამ ციფრმა 50 მილიონი მანეთი შეადგინა. მეუხედავად ამისა, 1972 წლის 1 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებზე ირიცხება სახელმწიფო ვალი 21,3 მილიონი მანეთის ოდენობით. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა თეთრი წყაროს, სიღნაღის, ბოგდანოვკის, ასპინძის, საგარეჯოს, ცხაკაიის რაიონებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში და სხვ.

ასეთ ვითარებას ვერარ შეეგუებიდით. იგი მხოლოდ იმ პირობებში შეიძლებოდა წარმოშობილიყო, როცა კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა შეასუსტეს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა, საოლქო კომიტეტებმა.

როგორია მდგომარეობა საბჭოთა მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ამ უმაღლეს ფორმებში?

1966-1971 წლებში, 1970 წლის გარდა, საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმა არ შეუსრულებიათ. უარესი მდგომარეობაა მეცხოველეობისა და მერძევეობა - მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში. წინა ხუთწლეულის გეგმა მათ მხოლოდ 81,4 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მიმდინარე ხუთწლეულის პირველი წლის გეგმა — 81,8 პროცენტით. მარტო გასულ ხუთწლეულში საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს დააკლეს 148.682 ცენტნერი მარცვლეული, 618.803 ცენტნერი კარტოფილი, 617.097 ცენტნერი ბოსტნეული, 149.036 ცენტნერი რძე, 300.792 ცენტნერი ხორცი, 12.685 ცენტნერი მატყლი, 35 მილიონ 418 ათასი ცალი კვერცხი.

სერიოზული ნაკლოვანებებია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დიციპლინის განმტკიცების საქმეში. საიდუმლო როდია, რომ ყოველწლიურად 11 ათასზე მეტი შრომისუნარიანი კოლმეურნეი არავითარ მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივ წარმოებაში, ხოლო 60 ათასამდე კოლმეურნე წელიწადში 50 დღეზე ნაკლებს მუშაობს.

შარშან რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ერთი მუშის საშუალო გამოსავლიანობა 182 დღეა ანუ 15 დღე თვეში.

განსაკუთრებით არასახარბიელო ვითარებაა რეორგანიზებული კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში. მაგალითად, საგურამოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარე წლის ცხრა თვეში ერთი მუშის საშუალო გამოსავლიანობა 8,8 დღე თვეში, მაშინ როცა კოლმეურნეობაში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო — 12 დღე. ასეთივე მდგომარეობაა ძალისის მეპოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

უცნაური სურათის ეძლევა კოლმეურნეობა მეურნეობის უფრო მაღალ ფორმად — საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნა, მაგრამ ყველა მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე კოლმეურნეობაში იყო. სწორედ ეს არის უკუფეფქტი.

ყოველივე ეს საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობისა და მართვის დაბალ დონეს მოწმობს.

სად არის გამოსავალი? გამოსავალია მხოლოდ სამეურნეო რეფორმის განხორციელება, ორგანიზაციისა და მართვის ბოლგრესული ფორმების დანერგვა.

საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემაში განხორციელდა ბევრი მეურნეობის გაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, რამაც როგორც მოსალოდნელი იყო, კარგი შედეგები მოიტანა. 239 საბჭოთა მეურნეობიდან სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია 58, რომელთაგან 54 რენტაბელურად უძღვება მეურნეობას.

ნოგაგმავნა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდი საშუალებას აძლევს რესპუბლიკის ბევრ მეურნეობას შეასრულონ გეგმები, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, ამაღლონ წარმოების ეფექტიანობა.

მაშასადამე, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უფრო გაბედულად უნდა დანერგოს წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმები, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, ამაღლოს ეფექტიანობა.

ბოლო, XXIV კრების გადაწყვეტილებებს. ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საზოგადოებრივ სექტორში ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების კურსი აშკარად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის ყოველი დონისძიებით განმტკიცებისათვის ახლა აღებული კურსი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული და საოლქო კომიტეტების მუშაობის ცენტრში უნდა იყოს. ამის დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი სოფლის მეურნეობის ინტერესები, მისი ყველა დარგის შემდგომი განვითარების ინტერესები.

საქმის წარმატებისათვის საჭიროა გავაძლიეროთ დისციპლინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში. ეს უწინარეს ყოვლისა თვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს ეხება.

ზეცუბნელთა და ტყვიაველთა ინიციატივა ერთდროული ღონისძიება, ხანმოკლე კამპანია როდია. მისი მიზანია შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანა ის არის, რომ ყველგან და მთელი ძალღონით დაეჭიროს მხარი სოფლის მშრომელთა ამ პატრიოტულ მოძრაობას.

ჩვენი გეგმები და დირექტივები რეალურ ცხოვრებისეულ ფორმას ძიებენ მართვისა და წარმოების სფეროებში ჩვენი მშრომელების უდიდესი ყოველდღიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით.

მარტო საქართველოს კოლმეურნეობებში 14.537 სპეციალისტია. სოფლის მეურნეობის კადრების ამ უდიდეს არმიას მაქსიმალურად უნდა ეიყენებდეთ. მაგრამ ყველგან ასე როდია.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრების სტატისტიკაზე რომ მსჯელობთ, ერთი მხრივ გაგაოცებთ სპეციალისტთა რაოდენობის ზრდა სოფლის მეურნეობაში, ხოლო, მეორე მხრივ, — ის მცირე უძღებელ, რასაც გვაძლევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას სპეციალისტთა ეს დიდი არმია.

ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი წარმოშობენ არა მარტო პარტიული და სახელმწიფო ფიზიკალურის დარღვევებს, არამედ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებსაც.

ამას წინათ გამოაშკარავდა მარცვლეულის დატაცების ფაქტები სიღნაღის რაიონის სოფლების ტიბაანის, ბოდბისხევისა და ველი ანაგის კოლმეურნეობებში ბრძოლის ველზე.

დადგენილია, რომ სიღნაღის რაიონის სოფელ ველი ანაგის კოლმეურნეობის საწყობის გამგეს ზ. ჯანიბეგაშვილმა დანაშაულებრივი კავშირი შეკრა ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბეგაიშვილთან, № 2 მემანდვრეობის ბრიგადის ბრიგადირთან ო. ბეგაიშვილთან და სხველ ბანაკის გამგე რ. სოსიაშვილთან. მათ შეტანეს საწყობში ალრიცხველი სამეტი — 78.640 კილოგრამი მარცვლეული და 22.100 კილოგრამი მზესუმზირა, სულ 27.235 მანეთის ღირებულებისა. აქედან დაიტაცეს 17.557 მანეთის 56.306 კილოგრამი მარცვლეული და 11.490 კილოგრამი მზესუმზირა.

აქ გვესწრება პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ამბ. დ. ელაშვილი. გვინდა გკითხოთ მას: როგორ მოხდა ეს, ისე როგორ მიუშვით მუშაობა კადრებთან, რომ მარტო ერთ კოლმეურნეობაში პარტიის რვა წევრი დანაშაულ ალმოჩნდა, მათ შორის კოლმეურნეობის ყველა ხელმძღვანელი? რატომ არწევს რაიკომი ასე ცუდად კადრებს სოფლის მეურნეობის სამეთაურო პოსტებზე?

მშრომელთა წერილებისა და საჩივრების ანალიზიდან ჩანს, რომ არასახარბიელო მდგომარეობა შექმნა ალფაზეთისა და ველის ანაგის რესპუბლიკების, მახარაძის, ხობატაურის, წყალტუბოს, ტყიბულის, ვანის, წულუკიძის, ცხაკაიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მთელი რიგი სხვა რაიონების ზოგიერთი მეჩაიეობის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების სფეროში. უწინარეს ყოველისა პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ნაკლოვანებათა და ნაკლოვანებებისა და ნაკლოვანებათა ამ ან იმ ფაქტორებზე ამ ან იმ ადგილას ამ ან იმ ხელმძღვანელ ორგანოებზე, ამ ან იმ ადამიანებზე.

ეს ფაქტორები ერთ-ერთ ადგილზე ერთ ან ორ ადამიანზე, ერთ ან ორ ორგანოზე, ერთ ან ორ ორგანიზაციაზე, ერთ ან ორ